

კორტჰაგენის” რეფლექსიური წრე”, როგორც მასწავლებლებში
პროფესიული განვითარების ტექნოლოგია

სტუდენტი: ნინო გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების
ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომი „კორტხაგენის რეფლექსიური წრე, როგორც მასწავლებლებში პროფესიული განვითარების ტექნოლოგია“ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს, სადაც ვახდენ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული თეორიის ანალიზს და ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დაგეგმვას და რეფლექსიას პროექტგაკვეთილის საშუალებით.

შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გიორგაძე

29/06 2015წელი

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის თემად შევარჩიე კორთჰაგენის „რეფლექსიური წრე“, როგორც მასწავლებლებში პროფესიული განვითარების ტექნოლოგია. აღნიშნულ თემაზე მუშაობისას შევეცადე თეორიული ცოდნა გადამეტანა პრაქტიკაში და ევროპული სკოლის მეექვსე კლასში დავგეგმეთ დროში გაწერილი, ინტეგრირებული ორი პროექტგაკვეთილი. შევექმნით პედაგოგთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართულის, ხელოვნების ისტ და ბუნების პედაგოგებით. შევარჩიეთ თემა და გავწერეთ პროექტის განხორციელების ეტაპები. პროექტის ყოველ ეტაპზე ვახდენდით ციკლურ რეფლექსიას, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, პროექტში ვპოულობდით ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეგვექონდა გარკვეული ცვლილებები.

აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია რეფლექსიის თეორიული საკითხების კვლევა, კორთხაგენის რეფლექსიური წრის მნიშვნელობა პედაგოგის პროფესიული განვითარებისათვის და თვისებრივი კვლევა, რომლის საფუძველზე გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად უწყობს ხელს ურთიერთთანამშრომლობის გაზრდას აღნიშნული მოდელი.

მადლობა

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ვერ შედგებოდა, რომ არა იმ ადამიანების დახმარება და თანადგომა, რომელთა დახმარებითაც მოვახერხე ნაშრომის დასრულება.

სამაგისტრო თემასთან დაკავშირებით მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ თამარ ტალიაშვილს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო „ევროპულისკოლის“ ყველა იმ პედაგოგს, რომელიც მეხმარებოდა თემასთან დაკავშირებით პროექტგაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში, ჩემს კოლეგებს: ნატალია ვაწაძეს, თამთა გოგიჩაიშვილს, ანიკა ახმეტელს.

მადლობა მინდა გადავუხადო ევროპული სკოლის დირექციას და მთელს კოლექტივს, რომელთაც დადებითად შეაფასეს ჩვენს მიერ ჩატარებული პროექტგაკვეთილი და მადლობა მეექვსე კლასის მოსწავლეებს, რომლებიც ღირსეულად მუშაობდნენ და იყვნენ ჩართულები პროექტის მსვლელობის ყველა ეტაპზე.